წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე ბიუროს სხდომის

ოქმი N 24

ქ. წალკა; 31.07.2025 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: **წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**
ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 10:30 საათზე;
სხდომა დასრულდა: 10:45 საათზე;

დღის წესრიგი:

1. **წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების დასკვნა განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების N-NAT2500010490) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს „ჯეო ბილდინგ გრუპი"-სთან ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".**

2. **დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ"**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ივნისის #8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების დასკვნები განკარგულების პროექტზე: „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების N-NAT2500010490) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს „ჯეო ბილდინგ გრუპი"-სთან ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელ. ტენდერში (სატენდერო განცხადების N-NAT2500010490) გამოვლენილ გამარჯვებულ შპს „ჯეო ბილდინგ გრუპი"-სთან ხელშეკრულების გაფორმებაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" შეტანილ იქნეს მ/წლის 31 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია მის მიერ ინიცირებული დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" . ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს დადგენილების პროექტის „წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" განხილვის პროცედურები და დაევალოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს, განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 6 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*